საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახტა

მახტა, სახელმწიფო კომლობრივი გადასახადი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. იხდიდნენ ფულით და ნატურით მოქალაქეები, ქალაქში მცხოვრები სახელმწ. გლეხები და საქართვ. მაჰმადიანი მოსახლეობა (ელი). მოქალაქეთა ქონებრივ შეძლებას და მ-ის რაოდენობას განსაზღვრავდნენ „მახტის გამწერი აღმორჩეული მოქალაქეები“. მ-ის გადახდისაგან თავისუფლდებოდნენ ქვრივ-ობლები, საეკლ. და საბატონო ყმები, ქალაქში მოსახლე თავადები და აზნაურები, მღვდლები, უცხო ქვეყნიდან გადმოსახლებულები (3 წლით).

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ლ., სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1960; თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990; მ ე ს ხ ი ა შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 2, თბ., 1983.